თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკისა და ქონების მართვის საკითხთა კომისიის სხდომის

ოქმი № 1

ქ. თერჯოლა 9 იანვარი 2024 წელი

სხდომას უძღვებოდა: კომისიის თავმჯდომარე ბადრი ბუცხრიკიძე

სხდომას ესწრებოდნენ: 1. ბადრი ბუცხრიკიძე, 2. თემურ ქოჩიაშვილი, 3. ბიძინა ბუცხრიკიძე, 4. კობა კაცაძე, 5. ჯემალ ისაკაძე, 6. შალვა ჭანკვეტაძე, 7. გოჩა ვერულაშვილი, 8. მერაბი ბასილაძე, 9. როლანდი მესხი, 10. ფრიდონ გვენეტაძე.

სხდომას არ ესწრებოდნენ: 1. ივანე ჩუბინიძე

კომისიის შემადგენლობა: 11 წევრი
დამსწრე წევრთა რაოდენობა: 10
კვორუმი: 6 წევრი

დღის წესრიგი:

1. თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების საპრივატიზებო ობიექტების ნუსხისა და პრივატიზაციის გეგმის დამტკიცების შესახებ (თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერის წერილი № 28-282400877, 08.01.2024 წ.).

მომხს.: ბ. ბუცხრიკიძე

2. თერჯოლის მუნიციპალიტეტში მცხოვრებ, მძიმე სოციალურ პირობებში მყოფი ოჯახებისათვის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული საშეშე მერქნის ნატურთ - უსასყიდლოდ გადაცემის 2024 – 2025 წლების პროგრამის დამტკიცების შესახებ შესახებ (თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერის წერილი № 28-282400878, 08.01.2024 წ.).

მომხს.: ბ. ბუცხრიკიძე

კენჭისყრის შედეგები: მომხრე - 10 , წინააღმდეგი - 0

დღის წესრიგი დამტკიცდა წარმოდგენილი სახით.

1.

მოისმინეს: მომხსენებელმა, საკრებულოს ეკონომიკისა და ქონების მართვის საკითხთა კომისიის თავმჯდომარემ ბადრი ბუცხრიკიძემ კომისიის წევრებს გააცნო თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების საპრივატიზებო ობიექტების ნუსხისა და პრივატიზაციის გეგმის დამტკიცების შესახებ განკარგულების პროექტი - პროექტში შეტანილია 8 უძრავი და 2 მოძრავი ქონება.

აზრი გამოთქვეს: გოჩა ვერულაშვილმა, ჯემალ ისაკაძემ

კენჭისყრის შედეგები: მომხრე - 10 წინააღმდეგი - 0

გადაწყვიტეს: განსახილველად გავიდეს ბიუროზე საკითხი თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების საპრივატიზებო ობიექტების ნუსხისა და პრივატიზაციის გეგმის დამტკიცების შესახებ.

2.

მოისმინეს: მომხსენებელმა, საკრებულოს ეკონომიკისა და ქონების მართვის საკითხთა კომისიის თავმჯდომარემ ბადრი ბუცხრიკიძემ კომისიის წევრებს გააცნო თერჯოლის მუნიციპალიტეტში მცხოვრებ, მძიმე სოციალურ პირობებში მყოფი ოჯახებისათვის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული საშეშე მერქნის ნატურთ - უსასყიდლოდ გადაცემის 2024 – 2025 წლების პროგრამის დამტკიცების შესახებ შესახებ განკარგულების პროექტი - პროგრამით სარგებლობის უფლება აქვს:

ა) სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში რეგისტრირებულ მოქალაქეებს.

ბ) მძიმე ეკონომიკურ პირობებში მყოფ ოჯახებს.

გ) მრავალშვილიანთა ოჯახებს და მარტოხელა მოხუცებს.

დ) სტიქიური მოვლენების შედეგად დაზარალებულ ოჯახებს.

ე) თერჯოლის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ ერთეულებში მოქმედ საექიმო ამბულატორიებს.

ვ) საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის ბრძოლებში დაღუპულ ან დასახიჩრებულ მეომართა ოჯახებს.

აზრი გამოთქვეს: კობა კაცაძემ, ბიძინა ბუცხრიკიძემ.

კენჭისყრის შედეგები: მომხრე - 10 წინააღმდეგი - 0

გადაწყვიტეს: განსახილველად გავიდეს ბიუროზე საკითხითერჯოლის მუნიციპალიტეტში მცხოვრებ, მძიმე სოციალურ პირობებში მყოფი ოჯახებისათვის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული საშეშე მერქნის ნატურთ - უსასყიდლოდ გადაცემის 2024 – 2025 წლების პროგრამის დამტკიცების შესახებ.

კომისიის თავმჯდომარე

ბადრი ბუცხრიკიძე